სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 მარტი 2026

N 151/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „სი ენ ჯი 2015“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 დეკემბრის N787/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2026 წლის 09 და 10 მარტს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „სი ენ ჯი 2015“-მა და შპს „FlexSecure“-მ, ითხოვეს შპს „სი ენ ჯი 2015“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 62კგ CO ეკვივალენტის 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანი (HFC-227ea) – 75 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „FlexSecure“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „სი ენ ჯი 2015“-ის და შპს „FlexSecure“-ის 2026 წლის 09 მარტის N3356 და 10 მარტს N3492 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „სი ენ ჯი 2015“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 17 დეკემბრის N787/ს ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „სი ენ ჯი 2015“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 405128776) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობებით:

ა) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 3 753 კგ;

ბ) დიფთორმეთანი (HFC-32) – 1 395კგ;“

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სი ენ ჯი 2015“-ს.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სი ენ ჯი 2015“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო